N 4634/09 22/03/2023

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს

უფროსს ზურაბ ჩეკურაშვილს

ამავე სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების სამართველოს

უფროსის თორნიკე ბანცაძის

**მოხსენებითი ბარათი**

ბატონო ზურაბ,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 7 და 14 მარტს, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოდან შემოვიდა შეტყობინება (თან ერთვის) იმის თაობაზე, რომ ზამთრის საძოვრებიდან ზაფხულის საძოვრებზე მიგრაციის სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით, აუცილებელია ზემოაღნიშნულ რეგიონებში არსებული ბიოუსაფრთხოების პუნქტების შეკეთება და რიგი აღდგენითი სამუშაოები.

ამასთან, მოკვლეული იქნენ სარემონტო სამუშაოთა შემსრულებელი, ადგილობრივი პირები. ვინაიდან ბიოუსაფრთხოების პუნქტები განთავსებულია დასახლებული პუნქტებისაგან მნიშვნელოვნად დაცილებულ ლოკაციებზე და დიდი მანძილითაა დაცილებული კომუნიკაციებს, გართულებულია ამ ადგილებზე სარეომონტო სამუშაოების წარმოება. აღნიშნულის მიზეზით, ასევე კონკრეტულ ბიოუსაფრთოხების პუნქტებზე შესასრულებელი სარემონტო სამუშაოების შედარებით დაბალი ღირებულების გამო, სამუშაოთა პოტენციური მიმწოდებლები, არ ავლენენ ინტერესს ამ კონკრეტულ შესყიდვაში მონაწილეობისადმი. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, უკვე წლებია მის საკუთრებაში არსებული ბიოუსაფრთხოების პუნქტების სარემონტო სამუშაოების შესყიდვას ახორციელებს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვინაიდან ელექტრონული ტენდერის საშუალებით აღნიშნული სამუშაოების შესყიდვა მნიშვნელოვნად გაზრდის შესყიდვის ღირებულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ბიოუსაფრთხოების პუნქტის გამართული მუშაობა აუცილებელია ქვეყანაში მდგრადი ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შესანარჩუნებლად და შესაბამისი სახელმწიფო ქვეპროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საჭირო სარემონტო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის $3^1$ პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის № 27 ბრძანებით დამტკიცებული ,,სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად

გთხოვთ შეითანხმოთ გასატარებელი სამუშოები.

თორნიკე ბანცაძე

სამმართველოს უფროსი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

# ბარათები

« რეესტრში დაბრუნება »

ყველა ბარათის აკეცვა

## დავალებების რეესტრი

**ვადა: 05.04.2023 16:14**

კატეგორია: სამსახურებრივი ბარათი

გამომგზავნები:

ბანცაძე თორნიკე (სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო);

მიმღები:

ჩეკურაშვილი ზურაბ (ხელმძღვანელობა);

ანოტაცია:

დასაბუთება

შენიშვნა:

- დასაბუთება.pdf
- ბიო პუნქტების შეკეთების მოთხოვნა 2023 წ (რუსთავი-მარნეული).pdf
- ბიოუსაფრთხოების პუნქტის შეკეთების მოთხოვნა (დედოფლისწყარო, ყვარელი).pdf

დაკავშირებული დოკ–ები

დოკუმენტის მომზადების პროცესი

- შემსრულებლები (1)
- ვიზები (2)
- ხელმოწერები ( 1 )

## ვიზირება

| ვიზის ავტორი | თარიღი | ვადა | შენიშვნა |
|---|---|---|---|

## ხელმოწერა

| ხელმომწერი პირი | თარიღი | შენიშვნა |
|---|---|---|

## მოძრაობა

ყველა რგოლის ჩაკეცვა

| ადრესატი | რეზოლუცია |
|---|---|
| ჩეკურაშვილი ზურაბ - სააგენტოს უფროსი (22.03.2023 16:32)<br>*თარიღი: 22.03.2023 16:14 ვადა: 05.04.2023 16:14* | |
| იაკობაშვილი გიორგი - სააგენტოს უფროსის მოადგილე (22.03.2023 16:36)<br>*თარიღი: 22.03.2023 16:32 ვადა: 05.04.2023 16:14* | თანახმა ვარ |
| ჯავახაძე თამარ - დეპარტამენტის უფროსი (22.03.2023 17:47)<br>*თარიღი: 22.03.2023 16:36 ვადა: 05.04.2023 16:14* | |
| ფრუიძე გერონტი - დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (22.03.2023 17:48)<br>*თარიღი: 22.03.2023 17:47 ვადა: 05.04.2023 16:14* | |
| **ბანცაძე თორნიკე - სამმართველოს უფროსი** (22.03.2023 17:50)<br>*თარიღი: 22.03.2023 17:47 ვადა: 05.04.2023 16:14* | |

## დავალება

**დავალება N 104519** თარიღი: **22.03.2023 16:14**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველო
REGIONAL DIVISION OF KVEMO KARTLI

N 3538/09-12
07/03/2023

3538-09-12-3-202303071753

**სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს**

**უფროსის მოვალეობის შემსრულებელს**

**ბატონ გიორგი იაკობაშვილს**

**ბატონო გიორგი ,**

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2023 წლის მაისი თვიდან იწყება შინაურ ცხოველთა საგაზაფხულო  მიგრაცია ზამთრის საძოვრებიდან ზაფხულის საძოვრებზე. შესაბამისად ვეტერინარული ზედამხედველობის განსახორციელებლად და მისი გამართულად მუშაობისათვის ბიოუსაფრთხოების პუნქტები (მარნეული და რუსთავი), ცხოველთა დასამუშავებლად გარეგანი პარაზიტების საწინააღმდეგოდ საჭიროებს აღდგენით და დასუფთავებით სამუშაოებს, როგორიცაა:

**ქ. რუსთავში არსებული ბიოუსაფრთხოების პუნქტი:**

1. ტერიტორიის გაწმენდა/დასუფთავება;
2. ტერიტორიაზე არსებული ღობეების (სრულ პერიმეტრზე მეტალის ღობე), ასევე ცხოველთა შესარეკ, გაბანვის მერე დასაყოვნებელი ვოლიერის და გამოსასვლელი კარებების, წრპ-ს შესარეკი რგოლებისა და მასში მოძრავი რკინის კონსტრუქციების შედუღება/აღდგენა (დაზიანებული ადგილები);

ქ.რუსთავი მარისარხის 1 დას N150
Rustavi, Marisarkhi 1, Settlement 150
ტელ/Tel :(995 95)  19 48 00

3. მრპ-ს გასაბან განყოფილებაში საშხაპე სისტემის აღდგენა;

4. ცხოველთა სარწყულებლების ონკანების შეცვლა და დამცავი ყუთის აღდგენა

5. ცხოველთა შესარეკ და გამოსასვლელი კარებების საკეტებით უზრუნველყოფა (ნაწილობრივ);

6. წრპ-ს გასაბანებელი ავზებიდან (ორივე მხარე) ტალახის მასის ამოწმენდა (ავზები გადავსებულია ქვიშისებრი/ტალაახის მასით).

ქ. მარნეულში არსებული ბიოუსაფრთხოების პუნქტი:

1. ტერიტორიის გაწმენდა/დასუფთავება;

2. ტერიტორიაზე არსებული ღობეების (სრულ პერიმეტრზე მეტალის ღობე), ასევე ცხოველთა შესარეკ, გაბანვის მერე დასაყოვნებელი ვოლიერის და გამოსასვლელი კარებების, წრპ-ს შესარეკი რგოლებისა და მასში მოძრავი რკინის კონსტრუქციების შედუღება/აღდგენა (დაზიანებული ადგილები);

3. მრპ-ს გასაბან განყოფილებაში საშხაპე სისტემის აღდგენა;

4. წრპ-ს გასაბან განყოფილებაში საშხაპე სისტემის აღდგენა;

5. ცხოველთა სარწყულებლების ონკანების შეცვლა და დამცავი ყუთის აღდგენა

6. ცხოველთა შესარეკ და გამოსასვლელი კარებების საკეტებით უზრუნველყოფა (ნაწილობრივ);

7. მრპ და წრპ-ს გასაბანებელი ავზებიდან (ორივე მხარე) ტალახის მასის ამოწმენდა (ავზები გადავსებულია ქვიშისა /ტალახის მასით).

8. ცხოველთა სარწყულებლების, მრპ-ს გასაბანად ავზში შემშვები წყლის ონკანის შეცვლა (გამოსულია ექსპლუატაციიდან);

9. ცხოველთა შესარეკ და გამოსასვლელი კარებების საკეტებით უზრუნველყოფა

10. გენერატორის შეკეთება.

**პატივისცემით,**

მირანგულა ლიპარტელიანი

სამმართველოს უფროსი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

კახეთის რეგიონული სამმართველო
KAKHETI REGIONAL DIVISION


N 4019/09-7
14/03/2023

4019-09-7-3-202303141631

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს

უფროსს ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

კახეთის რეგიონული სამმართველოს

უფროსის კობა ჩიკვაიძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი

ბატონო ზურაბ,

2023 წლის ქვეპროგრამა „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია“ საორიენტაციო სამოქმედო გეგმის ფარგლებში, კახეთის რეგიონის ტერიტორიაზე( დედოფლისწყაროს და ყვარლის მუნიციპალიტეტში) განთავსებულ ბიოუსაფრთხოების პუნქტზე საგაზაფხულო ღონისძიებების ჩასატარებლად გვესაჭიროება როგორც პუნქტის მესერის, ასევე ცხოველთა შესაყრელი სადგომების რკინის კონსტრუქციების შედუღებითი სამუშაოები.გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამმართველოს აღნიშნული საკითხის გათვალისწინება.

პატივისცემით,


ქ. თელავი, ალაზნის გამზირი
Alazani ave., Telavi; georgia
ტელ/Tel :(995 98) 01 11 01

კობა ჩიკვაიძე

სამმართველოს უფროსი